

ლერი ჯიბლაძე, რევაზ დავლიანიძე, ნინო ჩხარტიშვილი

ბრინჯაოს საკიდების ერთი სახეობა ბრილის სამაროვნიდან

ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების ძირითად ფონდში დაცულ მასალებზე მუშაობისას ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო კომპლექსგარეშე წარმოდგენილმა რამდენიმე უპასპორტო ბრინჯაოს ნივთმა, რომლებიც სავარაუდოდ უნდა ეკუთვნოდეს ბრილის სამაროვნის ე.წ. შუაბრინჯაოს¹ ხანით დათარიღებულ ერთ-ერთ სამარხეულ კომპლექსს. ეს მოსაზრება ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ლითონის ინვენტარი გვხვდება მხოლოდ კოლხეთის მთიანეთში, ზემო რაჭაში – ბრილის² სამაროვნის უძველეს ფენაში. ასევე ცენტრალური კავკასიონის ქედს გადაღმა დიგორიაში (ჩრდილოეთ ოსეთის დასავლეთი მხარე).³ არტეფაქტები იმდენად საყურადღებოდ მივიჩნით, რომ მიუხედავად უპასპორტო წარმომავლობისა, საჭიროდ ჩავთვალეთ მათი სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა.

ბრილის სამაროვანი მდებარეობს სოფ. ლების (ონის მუნიციპალიტეტი) ჩრდილო-დასავლეთით II კმ-ზე, ზღვის დონიდან 1600 მეტრის სიმაღლეზე. როგორც ფიქრობენ, ამ ძეგლის ქრონოლოგიური დიაპაზონი მოიცავს დაწყებული ბრინჯაოს ხანიდან,

¹ სამეცნიერო ლიტერატურაში ბრილის სამაროვნის უძველესი ფენა განსაზღვრულია შუაბრინჯაოს ხანით. ჩვენ ეს ფენა რამდენადმე უფრო მოგვიანო პერიოდის გვეჩვენება.

² ბრილის სამაროვანზე არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა დროგამოშვებით 1939, 1940, 1948, 1950, 1951 წწ [აბესაძე 2011: 235]. არქეოლოგიური სამუშაოები გაუგრძელებიათ 1952, 1953, 1960, 1961 წ. ზემო რაჭიდან ბრილისა და შოშეთის სამაროვნების გარდა იხსენიებენ თევრემოს, ორლობისა და საარწივიძის ნეკროპოლებს, რომლებიც არ გათხრილა და შესაბამისად მითითებული არ არის პერიოდები [გობეჯიშვილი 1942:46]. ერთი ასეთი ნეკროპოლი შენიშნული ჰქონიათ სოფ. ლების აღმოსავლეთითაც [გობეჯიშვილი 1942:45]. ასევე აღნიშნული აქვთ შრომის უბნისა და კვაშხიეთის სამაროვნები. კვაშხიეთში (ამოზიდული სერი) ჯერ კიდევ 1953 წელს გაუთხრიათ სამი სამარხი, ხოლო 1962 წელს კი ახ.წ. II-III სს-ებით დათარიღებული რვა სამარხი. შრომის უბანში კი დაუფიქსირებიათ რბილ ქანში ამოჭრილი სამი ორმო, სადაც ადრე გაძარცვულ ძვ.წ. V-IV სს-ების სამარხის ამონაყარ მინაში უნახავთ ოქროს კილიტი და ბრინჯაოს ზარაკი [გობეჯიშვილი 1963:26-30].

³ როგორც აღნიშნავენ, ბრილური მასალები დიგორიის გარდა, აღმოჩენილია ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდზე ალაგირის ხეობაში (ჩრდილო ოსეთი) [Мошинский 2013:221].

ვიდრე ახ.წ. III-IV სს-მდე [საქართველოს არქეოლოგია 1959:56]. მთლიანობაში აქ გათხრილი იქნა 200-ზე მეტი სამარხი, რომლებიც ძირითადად განეკუთვნება ქვაყუთებსა და ორმო სამარხებს [გობეჯიშვილი 1942:43; საქართველოს არქეოლოგია 1959:111]. ასევე შესწავლილი იქნა საკრემაციო მოედანი [გობეჯიშვილი 1970: 261; ფანცხავა და სხვ. 2001:35]

ჩვენს მიერ მიკვლეული ლითონის არტეფაქტები, რომლებიც სავარაუდოდ საკიდებს უნდა წარმოადგენდეს, ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, თუმცა მაინც მოხერხდა ზოგიერთი მათგანის ფორმის გადმოცემა. შედარებით სრულად შემორჩენილი ბრინჯაოს საკიდის სიგრძეა 12 სმ, რომლის ზედაპირზე მარცხენა მხარეს, ერთ რიგში ამოკვეთილია ერთმანეთში ჩასმული სამი რელიეფური წრე (ტაბ. I-1, II-1). მეოთხე ქდეული წრე კი დატანილია ნივთის ნაკლულ დაბოლოებაზე. ამავე ხერხით შესრულებული წრეები ასევე გადმოცემულია საკიდის ზედაპირზე მარჯვენა მხარეს. ცალ მხარეს ყუისთავეებით შეერთების ადგილზე, შემორჩენილია 1 სმ. დმ. მქონე მთლიანად სხმული მრგვალი მილი, რომელიც მოპირდაპირე მოტეხილ მხარესაც გრძელდება. მილებს შუა დასმულია X-მაგვარი ნიშანი, რომელიც მეორე გვერდზეც არის გამოსახული. მის ზედაპირზე ამოკვეთილია ერთმანეთში ჩასმული თევზიფხური დეკორის რამდენიმე რიგი. ასეთივე პირა-მიდისებური კვეთილი ხაზები საკიდის ზედაპირზეც შეიმჩნევა. ნივთის მეორე მხარე სადა ზედაპირიანია (ტაბ. I-2, II-2). ბრინჯაოს საკიდი წვერებმოხრილია, ყუის თავებითაა შეერთებული და გადმოგვცემს ორმაგი („ორფთიანი“) ყუამილი ანი ცულის ფორმას.

მეორე საკიდიც, რომელიც ღია ყავისფერი ზედაპირისაა, იგივე ტიპს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. III-3, IV-1). შემორჩენილია არტეფაქტის ცალი მხარე („ფრთა“). ზედაპირზე აქაც ამოკვეთილია ერთმანეთში ჩასმული სამი რელიეფური მრგვალი წრე. მეოთხე წრის კვალი დასტურდება საკიდის მოხრილ, ნაკლულ წვერში. არტეფაქტი მეორე მოპირდაპირე მხარეს ნაკლულია, რაც კარგად იკვეთება მრგვალ წრეზე არსებულ გადანატეხში. არტეფაქტის მთლიანადასხმულ და მრგვალხვრელიან მილის ზედაპირზე დასმულია კვეთილი ხაზებით შესრულებული თევზიფხური დეკორი, რომელიც შუაში გამიჯნულია იგივე ხერხით შესრულებული X-მაგვარი გამოსახულებით. ასეთივე ნიშანი მეორე მხარესაც არის დატანილი. კვეთილი ხაზები გადმოცემულია საკიდის ზედაპირზეც. მეორე გვერდი კი სადა ზედაპირიანია. წვერში ნაკლულია.

მესამე საკიდიც იგივე ტიპისაა. ტანის („ფრთის“) მხოლოდ ერთი ნაწილია შემორჩენილი, რომელზედაც ამოკვეთილიარელიეფური სამი წრე. შესაძლოა ეს ფრაგმენტი მეორე საკიდის გაგრძელებასაც წარმოადგენდეს, თუმცა მას არ ებმის. მეორე გვერდზე ჭდეული დეკორი არ დასტურდება (ტაბ. III-1, IV-2).

მეოთხე ნივთის მხოლოდ მილია შემორჩენილი, ისიც არასრული სახით (ტაბ. III-2). როგორც ჩანს, ეს არტეფაქტიც საკიდის იმავე ტიპს უნდა ეკუთვნოდეს, რომლის მოტეხილ „ფრთებზე“ არასრული სახით შემორჩენილია ორი ჭდეული წრე და X-მაგვარი გამოსახულება. მიღზე დატანილია კვეთილი ხერხით შესრულებული თევზიფხური ორნამენტი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორივე მხარეს ყუამილიანი ცულების ფორმის მაგვარი, წვერანეული ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც ერთმანეთთან ყუისთავებითაა შეერთებული და ორმაგი ცულის მარტივ ფორმას წარმოადგენენ, საკიდებად არის მიჩნეული [საქართველოს არქეოლოგია 1959:113, ტაბ.XII-1; ფანცხავა და სხვ. 2001: 42-43].⁴ მათ საკულტოს მაგვარ დანიშნულების საგანს-ავგაროზებს უწოდებენ [გობეჯიშვილი 1952: XII-3]. ამ საკიდების ზუსტი და მიახლოებითი პარალელები ცნობილია ბრილის სამაროვნის N12 სამარხიდან, ფასკაუში, ზემო რუთხაში და დიგორიის კულტურის სხვა ძეგლებზე [Уварова 1900:220, 279; გობეჯიშვილი 1952:60, ტაბ. ХСIII-1; Козенкова 1996:91, სურ. 34-37,38; ფანცხავა და სხვ. 2001:42; Мошинский 2013:221, სურ. 1]. ბრინჯაოს საკიდების მრავალფეროვნებით გამოირჩევა ბრილის სამაროვანი, სადაც ზოგიერთი სამარხის მიხედვით ხუთ სახეობას გამოყოფენ [ფანცხავა და სხვ. 2001:42-43, ტაბ. III-25]. ჩვენს ნივთებს გააჩნია ამავე სამაროვნიდან მომდინარე ყუამილიანი ცულების ფორმა, რომელთაც დაკარგული აქვთ საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების ფუნქცია.მათ ისეთი ფორმა აქვს მიღებული, რომლებიც მხოლოდ საკულტო-სარიტუალო, ან საზეიმო დანიშნულებისა უნდა იყოს. როგორც აღნიშნავენ, ყუამილიანი ცულების პირი ნახევარმთვარისებურია, ზოგჯერ წვერანეული, სატარე მილი კი ვინროა. ცულებს ამკობს რელიეფურად გამოსახული გეომეტრიული ორნამენტით შემკული ცხვრის

⁴ სანტერესოა ცაიშის სამაროვანზე ოქროსაგან დამზადებული ორი ცალი, ორმაგი ცულის ფორმის იმიტირებული ცულის აღმოჩენა [პაპუაშვილი და სხვ. 2015:19, ტაბ. 51-5,6,85-3]. ასეთი, ალბარდის ფორმის მაგვარი წყვილი გულსაკინძის ჩამოსასხმელი ყალიბის ზედა ნაწილი და ბრინჯაოს ცალპირა ცულისნაირი გულსაკინძი, ცნობილია ჩოლოქისპირა ნამოსახლარის IV ფენიდან [ჩაველიშვილი 1991: 21-22, ტაბ. XI-1,2].

თავები [გობეჯიშვილი 1952:58, ტაბ. XI,2]. ბრილში სამკაულსა და საკულტო დანიშნულების საგნების უმეტესობას გააჩნია ერთპირიანი ან ორპირიანი ცულის მოყვანილობა, რომლებიც ხშირად შემკულია ვერძის თავის ქანდაკებით [საქართველოს არქეოლოგია 1959:114].

ჩვენთვის ხელისმისაწვდომი მონაცემებით ბრილის სამაროვანზე სხვა ტიპის ბრინჯაოს საკიდები ასევე წარმოდგენილია N32 ქვაყუთ სამარხში, რომელთაც აქვს ამაზონური ნაჯახის ფორმა და შემკულია სამკუთხედისებურად შედგენილი ორნამენტით [გობეჯიშვილი 1942:105]. ბრინჯაოს ყუამილიანი ცულის ფორმის მაგვარი ამულეტის-საკიდები ასევე ცნობილია ზემო რუთხაში, დიგორიის კულტურის სხვა ძეგლებზე, თლიაში (ვ. დოლბეჟევის კოლექცია) და ა.შ. [Крупнов 1951:58; Техов 1977:6]. ბრილის სამაროვანზე ადრეული პერიოდის სამარხებში თიხის ნაწარმი თითქმის არ გვხვდება. როგორც გ. გობეჯიშვილი ფიქრობდა, მის მაგივრობას ხის ჭურჭელი ასრულებდა [საქართველოს არქეოლოგია 1959: 113; აბესაძე 2011:235].

ძალიან საინტერესო გამოდგა ბრილის ერთ-ერთი ბრინჯაოს საკიდის ქიმიური ანალიზის შედეგები (ტაბ. I-1), რომელიც დამზადებული აღმოჩნდა თითქმის წმინდა ანთიმონისგან (97,961%), დარიშხნისა (1.873%) და სპილენძ-ტყვიის უმნიშვნელო მინარევებით (იხ. ცხრილი). ბრილის სამაროვნის ე.წ. შუაბრინჯაოს ხანის სამარხებში ანთიმონის მინარევები მოცემულია 20% მეტი, ისიც ძირითადად საკულტო-სარიტუალო, თუ საზეიმო დანიშნულების ნივთებში [აბესაძე 2011:237]. როგორც აღნიშნავენ, რაჭაში ე.წ. შუაბრინჯაოს ხანის ნივთების დასამზადებლად ძირითადად გამოიყენებოდა დარიშხნიანი სპილენძი, მაგრამ ამავე დროს ხმარებამია დარიშხან-ანთიმონიანი ბრინჯაო. ამ უკანასკნელისგან ძირითადად დამზადებულია საკულტო-სარიტუალო თუ საზეიმო დანიშნულების ნივთები და სამკაულები. დარიშხნიანი ბრინჯაოსგან კი საბრძოლო დანიშნულების იარაღები [აბესაძე 2011:238, 252-253, 254-255]. საყურადღებოა ბრილის ბრინჯაოს არტეფაქტების სიახლოვე ამ ნივთიერების მინარევების თვალსაზრისით წინაყოფიერი ხანის დიგორიის ხეობის მასალებთან, სადაც ანთიმონიანი სამკაული ძირითადად წარმოდგენილია ზემო რუთხას, ფასკაუსა და დოგუი ხუნთას (კარი ცაგატის № 6,9 სამარხები)⁵ სამაროვნებზე [Скаков 2003: 18-22; 2003a: 94, სურ. 3].

⁵ ა. სკაკოვს კარი ცაგატის სამაროვანი ინდენტიფიცირებული აქვს როგორც დოგუი ხუნთას სამაროვანთან, სადაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს შეუსწავლიათ 6 სამარხი [Скаков 2003:18; 2003:a 95].

საინტერესოა ჩვენს მიერ განხილული ბრინჯაოს საკიდების დათარიღების საკითხები. რა თქმა უნდა ამ მხრივ გარკვეულ სირთულეებს ქმნის ის გარემოება, რომ აღნიშნული არტეფაქტები კომპლექსგარეშეა წარმოდგენილი. აგრეთვე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ბრილის სამაროვნის მასალები ძალზე მცირე რაოდენობითაა გამოქვეყნებული და, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ვგულისხმობთ № 12 სამარხის ლითონის ინვენტარს, რომელიც დათარიღებისას ჩვენთვის ძირითად საყრდენს წარმოადგენს) შესაძარებელი არტეფაქტები არ გაგვაჩნია.

როგორც ცნობილია, ბრილის სამაროვანზე როგორც ქვაყუთებში, ასევე ორმო სამარხებში გამოყოფილი აქვთ სხვადასხვა დროის სამი ფენა, მათ შორის უძველეს ათარიღებენ ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებით (შუაბრინჯაოს ხანის დასასრული), ანდა შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანით [გობეჯიშვილი 1942:165; ჯაფარიძე 1991:193; 2003:193]. ზოგჯერ ამ ძეგლზე ვარაუდობენ, ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს, გვიანბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ოთხი ფენის არსებობას, რომელთაგან ყველაზე ადრეულს აკუთვნებენ მიწისქვეშა ნაგებობიან სამ გაძარცულ კოლექტიურ ორმოსამარხს, სადაც დიდმნიშვნელოვანი ადგილი არ ეკავა ლითონის ინვენტარს [საქართველოს არქეოლოგია 1959:112-113]. ვარაუდობენ, რომ ბრილის სამაროვანზე პირველი მიცვალებულები დაუკრძალავთ ადრებრინჯაოს ხანაში და ისინი უნდა ეკუთვნოდეს იმ ხალხს, რომლებმაც დაიწყეს მალალმთიანი ზოლის თავდაპირველი ათვისება [ჯაფარიძე 2003: 184; 2013:184]. იმასაც აღნიშნავენ, რომ ბრილის სამაროვნიდან მომდინარე პროტოყობანურ მასალებს (ნაწილობრივ ბრილის № 12 სამარხში გამოვლენილი ფასკაუს № 6,7 ტიპის ბრინჯაოს ყუამილიანი ცულები, ფრინველის ფორმის მაგვარი აბზინდები, ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებიანი საკიდები და სხვ.) ქართველი არქეოლოგები ერთგვარად აძველებენ და ათარიღებენ ძვ.წ. XVIII-XVI სს-ების ფარგლებში [Скаков 2003-а: 100; Unterwegs 1995: 243,244].⁶

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენს მიერ განხილული ბრინჯაოს საკიდები თანადროული უნდა

⁶ იქვე შენიშნავენ, რომ ბრილის მასალების ასეთი დაძველება გამონვეული უნდა იყოს იმ მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური წყვეტილის არსებობით, რომელიც შეიმჩნევა ერთის მხრივ მონათესავე სახის მქონე ძეგლებსა (ბედენური კულტურის ძეგლები, ქვასათალი, ფიჩორი) და მეორეს მხრივ პროტოყობანური სიძველეების მქონე ფენებს შორის [Скаков 2003-а: 100].

იყოს ბრილის № 12 სამარხის ლითონის ინვეტარისა, სადაც შედის მეტნაკლებად ანალოგიური ფორმის ბრინჯაოს საკიდები. ბრილის № 12 სამარხიდან მომდინარე ბრინჯაოს არტეფაქტები კი ახალი მონაცემების გათვალისწინებით გადათარილდა და მიეკუთვნა ძვ.წ. XIV ს დასასრულსა და ძვ.წ. XII სს [ფანცხავა და სხვ. 2001:43]. ძირითადად ეს თარიღი ჩვენთვის მისაღებია, ოღონდ დასაშვებად მიგვაჩნია მისი ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის გადატანა ძვ.წ. XV ს-ში. ამ თარიღიდან გამომდინარე კი ეს სამარხი სინქრონული ჩანს პროტოყობანური პერიოდის ძეგლებისა (II ქრონოლოგიური ჯგუფი – ა. სკაკოვისა და ა. მოშინსკის მიხედვით) [Скаков 2003a:101; Мошинский.2011:150-151].

Leri Jibladze, Revaz Davlianidze, Nino Chkhartishvili

One Type of Bronze Pendant from Brili Necropolis

Summary

While working on materials preserved in the main depository of National Museum our attention was drawn on the double ax-shaped bronze pendant, which can come from the indistinct necropolis complex and may be dated by Middle Bronze Age. This opinion is based on the fact that we meet the mentioned bronze pendant in upper Racha – Brili necropolis, from the Middle Bronze Age layer (Burial №12). The latest parallels of these items are on the monuments of Digori culture (West Mountain Region of the North Ossetia).

ლიტერატურა

- აბესაძე ც. 2011: ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან საქართველოში, თბილისი
- გობეჯიშვილი გ. 1942: ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი (ხელნაწერის უფლებებით).
- გობეჯიშვილი გ. 1952: არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი
- გობეჯიშვილი გ. 1963: შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაო-რკინის ხანის ექსპედიციის კვლევა-ძიებანი. XI სამეცნიერო სესიის მასალები საქართველოში 1962 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, გვ.26-30
- გობეჯიშვილი გ. 1970: გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. I, თბილისი
- პაპუაშვილი რ.; ესებუა თ.; ჯიქია ლ.; პაპუაშვილი ი. 2015: ცაიშის სამაროვანი, თბილისი
- ფანცხავა ლ.; მაისურაძე ბ.; გობეჯიშვილი გ. 2001: ბრილის სამაროვანზე 1939 წელს გათხრილი № 12 სამარხის დათარიღებისათვის, ძიებანი, თბილისი, გვ.39-48
- საქართველოს არქეოლოგია: 1959, თბილისი
- ჩავლეიშვილი ი. 1991: კოლხური ბრინჯაოს სანარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხომურის ხერთვისში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XIX, თბილისი, გვ. 3-26
- ჯაფარიძე ო. 1991: საქართველოს არქეოლოგია, თბილისი
- ჯაფარიძე ო. 2003: საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბილისი
- ჯაფარიძე ო. 2013: ბრინჯაოს ინდუსტრიისათვის უძველეს საქართველოში, თბილისი
- Козенкова В. 1996: Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы в раннем железном веке (Узловые проблемы происхождения и развития Кобанской культуры), Москва
- Крупнов Е. 1951: Матералы по археологии Северной Осетии до-кобанского периода 1951: МИА 23, М-Л, стр.17-74
- Мошинский А.П. 2011: Дигорская культура. Проблемы выделения и хронологии, Древность: исторические знания и специфика источника : Материалы международной научной конференции

посвященной памяти Эдвина Арвидовича Грантовского и Дмитрия Сергеевича Раевского, выпуск V 12-14 декабря 2011 года, Москва, стр. 148-151, <http://book.ivran.ru/f/drevnostistoricheskoeznanieispecifikaistochnikavyp4.pdf>

Мошинский А 2013: Воины, металлурги, художники Северного Кавказа эпохи бронзы. Европа без границ Четвертое-первое тысячелетия до н.э. Санкт-Петербург, стр. 218-226

Скаков А. Ю. 2003: Сурьмяные украшения Дигорского ушелия Протокобанской эпохи, Чтения, посвященные 100-летию деятельности Василия Алексеевича Городцова в Государственном Историческом музее. Тезисы конференции. Часть II. Москва, стр 18-22.

Скаков А. Ю. 2003а: Об одной категории протокобанских украшений, РА I Москва стр.91-102

Техов В. 1977: Центральный Кавказ в XVI-X вв. до н. э. Цхинвали

Уварова П 1900: МАК, VIII, Москва

Unterwegs zum goldenen Vlies. Archäologische Funde aus Georgien 1995: Saarbrücken

ტაბულების აღწერა

ტაბ. I ყუის თავებით შეერთებული ორმაგი (ორფრთიანი) ყუამილიანი ცულის ფორმის მაგვარი ბრინჯაოს საკიდი

ტაბ. II ბრინჯაოს საკიდების სხვადასხვა დეტალები

ტაბ. I



1



2



1



2



